

COVID-19-ის მქონე პაციენტების საწყისი ჰოსპიტალიზაციის შემდგომ იზოლაციის პირობებში სამედიცინო მეთვალყურეობის განხორციელების ალგორითმი

1. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19-ის მსუბუქად და საშუალო სიმძიმით მიმდინარე პაციენტების მართვა ამ ეტაპზე ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) COVID-19-ის დადასტურების შემთხვევაში, დაავადების სიმძიმის მიუხედავად პაციენტი ექვემდებარება სტაციონარში მოთავსებას;

ბ) მსუბუქად მიმდინარე პაციენტების შემთხვევაში, შესაძლებელია განხილულ იქნეს პაციენტების შესაბამის საიზოლაციო სივრცეში (სასტუმრო) გადაყვანის საკითხი შემდგომი მკურნალობის/მეთვალყურეობის მიზნით, შემდეგი სქემის მიხედვით:

ბ.ა) საწყისი ჰოსპიტალური მკურნალობის შემდეგ, პაციენტები COVID-19-ის მსუბუქი ფორმით* სამედიცინო მეთვალყურეობისა და იზოლირებულ პირობებში მკურნალობის დასრულებისთვის გადავლენ საკარანტინე სასტუმროში;

ბ.ბ) საწყისი ჰოსპიტალური მკურნალობა მოიცავს COVID-19-ის მართვის გაიდლაინით რეკომენდებული გამოკვლევების ნაკრებს, რაც პაციენტის მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასებისთვის უნდა ჩატარდეს. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდანვე შევაფასოთ მოსალოდნელი რისკები და ვიმოქმედოთ შესაბამისად.

***შენიშვნა: შესაბამის საკარანტინე სივრცეში მეთვალყურეობას შესაძლოა დაექვემდებაროს ასევე, პაციენტების სხვა ჯგუფები, კერძოდ:**

ა) სიმპტომური პაციენტებისთვის: იმ შემთხვევაში, როდესაც COVID-19-ის სიმპტომების დაწყებიდან 10 დღისა და პლუს სულ მცირე 3 დამატებითი უსიმპტომო (ცხელების, რესპირაციული სიმპტომების და სხვ. არარსებობა) დღის შემდეგაც ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებულ მასალაში პჯრ კვლევით SARS-CoV-2-ის რნმ რჩება განსაზღვრადი;

ბ) უსიმპტომო პაციენტებისთვის: იმ შემთხვევაში, როდესაც COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურებიდან 10 დღის შემდეგაც ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებულ მასალაში პჯრ კვლევით SARS-CoV-2-ის რნმ რჩება განსაზღვრადი.

2. მიზანშეწონილია პაციენტების საკარანტინე სივრცეში გადაყვანა მოხდეს ჰოსპიტალიზაციის მერვე დღიდან, რაც პრაქტიკულად დაავადების მიმდინარეობის მეორე ნახევრია. ეს შეამოკლებს ჰოსპიტალურ დაყოვნებას 4-6 დღით და შეამცირებს დატვირთვას

ჰოსპიტალურ საწოლფონდზე. კლინიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, მსუქუბ შემთხვევებში, მკურნალმა ექიმმა შესაძლოა მიიღოს პაციენტის საკარანტინე სივრცეში გადაყვანის გადაწყვეტილება უფრო ადრეულ ეტაპზე.

3. საკარანტინე სივრცეში მკურნალობის გაგრძელება არ არის რეკომენდებული პაციენტებისთვის, რომელთაც აქვთ რომელიმე ქრონიკული დაავადება (ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, გულის კორონარული დაავადება, გულის უკმარისობა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება და ბრონქული ასთმა და სხვ. კლინიკისტის გადაწყვეტილებით).

4. საკარანტინე სივრცეში მკურნალობის გაგრძელება არ არის რეკომენდებული პაციენტებისთვის 18 წლამდე და 65 წლის შემდეგ.

5. COVID-19-ის მქონე პაციენტთა მკურნალობის/მეთვალყურეობის გადაწყვეტილების შემთხვევაში, პაციენტის მდგომარეობის მართვა, ხორციელდება საკარანტინე სასტუმროს ბაზაზე მორიგე სამედიცინო ბრიგადების (ექიმი, ექთანი) მეშვეობით, რომლებიც, ასევე მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან ინფექციონისტებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებთან.

6. საკარანტინე სივრცეში იმუშავენ 20 პაციენტზე - ექიმისა და ექთნის 1 გუნდი, პაციენტების რაოდენობის მატებასთან ერთად ემატება კიდევ 1 ექთანი ყოველ დამატებით 30 პაციენტზე და 2 სრული გუნდი, თუ პაციენტების რაოდენობა აღემატება 50-ს.

7. საკარანტინე სივრცეში მყოფი პაციენტის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში პაციენტი ექვემდებარება ხელახალ ჰოსპიტალიზაციას - ექიმის გადაწყვეტილებით.

8. საიზოლაციო სივრცეში (სასტუმროში) მოთავსებული COVID-19-ით პაციენტების ბინაზე გაწერა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურის ნორმალიზება და კლინიკური სიმპტომების არარსებობა სულ ცოტა 3 დღის მანძილზე და ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებულ მასალაში პჯრ კვლევით SARS-CoV-2-ის რნმ-ზე ორი თანმიმდევრული უარყოფითი პასუხი არანაკლებ 24 საათის შუალედით.

9. სამედიცინო დაწესებულებიდან საკარანტინე სივრცეში გადაყვანილი პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი:

ა) სამედიცინო დაწესებულებიდან საკარანტინე სივრცეში გადაყვანის შემთხვევაში, პაციენტი ექვემდებარება სტაციონარიდან გაწერას;

ბ) საკარანტინე სივრცეში პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დოკუმენტირება ხდება საკარანტინე სივრცეში კოვიდ დადასტურებული პაციენტის სამედიცინო მეთვალყურეობის ბარათის მეშვეობით, თანდართული N1.1 დანართის (შესაბამისი ქვედანართებით) შესაბამისად;

გ) საკარანტინე სივრცეში კოვიდ დადასტურებული პაციენტის სამედიცინო მეთვალყურეობის ბარათის წარმოებაზე და შენახვაზე პასუხისმგებელია საკარანტინე სასტუმროს ექიმი;

დ) საკარანტინე სივრცეში კოვიდ დადასტურებული პაციენტის სამედიცინო მეთვალყურეობის ბარათი ამავე საკარანტინე სივრცის ტერიტორიაზე ინახება პაციენტის დაყოვნების პერიოდში, ხოლო პაციენტის ბინაზე გადაყვანის შემთხვევაში ბარათი გადაეგზავნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს შემდგომი დაარქივების (5 წლის ვადით) მიზნით.